



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N17

ქ. მარნეული

03.10.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭორძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, რაგიმ ასკეროვი, გივი ქველაძე, რუსტამ ფაშაევი, ბესიკ გუჯეჯიანი, აიდა ხაჩიკიანი, სულეიმან ხალილოვი, მაილ მიქიევი, მამედ მამედოვი, სადრადინ ტალიბოვი, აგილ ფაშაევი.

არ ესწრებოდა:

- ვალერი მეტრეველი, ნიკოლოზ გოგოჭური, ირაკლი ბურნაძე, აბიდ ოსმანოვი, ლერი მუმლაძე, ქამილ ალიევი, რამიზ გიულმამედოვი, ზურაბ ჭონიაშვილი, ისმაილ ბაირამოვი, ლევონ აკოპიანი, აგილ მუსტაფაევი, არსენ ახვერდიანი, მახირ იუსუბოვი, ელხან მუფტიევი, რაფიკ ჯაფაროვი.

სხდომას ესწრებოდა

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე,

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „TV-მარნეული“-ს წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

დღის წესრიგის დამტკიცებამდე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ზაურ ტაბატაძემ ითხოვა განსახილველ საკითხთა დღის წესრიგს დაემატოს ერთი საკითხი: მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 3 ოქტომბრის N4193-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და საკრებულოს დღის წესრიგი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მარნეულის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2017 წლის 28 სექტემბრის N42 წერილის განხილვის შესახებ.

3. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6 თვის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გიულბაღის საჯარო სკოლის პედაგოგის დონარა ნარიმანიძის განცხადების განხილვის შესახებ.

5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 13 სექტემბრის N3946-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 3 ოქტომბრის N4193-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N30. 03.10.2017 წ)

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 28 სექტემბრის N03/11340 წერილით შემოსული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მარნეულის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2017 წლის 28 სექტემბრის N42 წერილის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე, სთხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N85. 03.10.2017 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6 თვის ანგარიში როგორც შემოსულობების, ასევე ხარჯვით ნაწილში და უპასუხა საკრებულოს წევრების შეკითხვებს.მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა კომისიის დასკვნა 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შედეგებზე, რომელიც შეფასებულია დადებითად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N86. 03.10.2017 წ)

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ წერეთელში მცხოვრები დონარი ნარიმანიძის განცხადება და ითხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურმა გადაურიცხოს ყოველთვიურად მარნეულის მუნიციპალიტეტის გიულბაღის საჯარო სკოლის პედაგოგს დონარი ნარიმანიძეს 50 ლარი, მგზავრობის ღირებულების ასანაზღაურებლად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N82. 03.10.2017 წ)

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 13 სექტემბრის N03/10851 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 13 სექტემბრის N3946-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, სთხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს სოფელ თამარისში მცხოვრები მოქალაქეებისათვის (დავით ბერდელიძე, დიმიტრი აბრამიშვილი, კობა თურმანიძე და ბესიკ გუჯეჯიანი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემული, ქალაქ მარნეულში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 40 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N83.02.05.966) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა მოახდინოს ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე (N5 საჯარო სკოლის წინ) მდებარე 598 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N83.02.05.787) 40 კვ.მ. არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწით, შემდგომში მასზედ რკინის კონსტრუქციის განთავსების მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N84. 03.10.2017 წ)

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 03 ოქტომბრის N03/11450 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 3 ოქტომბრის N4193-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო გეგმა და ნუსხა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N83. 03.10.2017 წ)

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეჩვიდმეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი